აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2025 წლის 27 ივნისი

აბაშა

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის № 10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.110.016151) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ახალგაზრდობისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება.“.

2. 7^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7^2. ახალგაზრდობისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება

ახალგაზრდობისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება:

ა) ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

ბ) უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობის შესწავლას და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვას;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ხოშტარია**